# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№2690 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

**ა(ა)იპ – ქ. თბილისის №85 საბავშვო ბაგა-ბაღისათვის (ს/კ: 204859803) უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტი) გადაცემაზე სსიპ – ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა სსიპ – ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლას (ს/კ: 204859741), სასკოლო მზაობის ჯგუფებში სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის მიზნით, ა(ა)იპ – ქ. თბილისის №85 საბავშვო ბაგა-ბაღს (ს/კ: 204859803) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტი), არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადით, გადასცეს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მე-3 კვარტალში, №71-ში (ნაკვეთი – 01/018) მდებარე №1 (ს/კ: 01.14.03.001.018) შენობაში ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული 50.51 კვ. მ ფართი.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

